# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N1966 2016 წლის 29 სექტემბერი ქ. თბილისი

## სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის" საქართველოს „წითელი ნუსხით" დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის" შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის $2^3$ პუნქტის შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 220 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმის" მშენებლობის მიზნით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას" (ს/კ: 204995176) მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №21.06.33.340; №21.06.33.341; №21.06.33.338; №21.06.34.402; №21.06.34.400; №21.06.34.405; №21.06.34.401; №21.06.34.399; №21.06.34.398; №21.06.34.408; №21.06.34.396; №21.06.34.397; №21.03.34.323; №21.03.34.319; №21.03.34.324; №21.03.34.320; №21.03.34.316; №21.03.33.192; №21.03.32.098; №21.03.31.118; №21.03.31.119; №21.03.31.120; №21.03.31.116; №22.31.04.186; №22.31.03.784; №22.31.03.783; №22.31.01.813;

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 23376
"30" 09 2016 წ

№22.31.01.815; №22.31.01.810; №22.31.01.814; №22.31.01.816; №22.31.01.809; №22.31.01.811; №22.31.01.807; №22.26.12.339; №22.26.12.337; №22.26.12.338; №22.26.15.111; №22.26.15.113; №22.26.11.120; №22.26.11.119; №22.26.11.121; №22.26.11.123; №24.02.31.164 და №24.02.31.162) არსებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) კაკლის ხე ( Juglans regia L) - 157 (ას ორმოცდაჩვიდმეტი) ინდივიდი;

ბ) ჩვეულებრივი წაბლი (Castanea sativa Mill.) - 377 (სამას სამოცდაჩვიდმეტი) ინდივიდი;

გ) კოლხური მუხა (Quercus hartwissiana Stev) – 80 (ოთხმოცი) ინდივიდი.

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია:

ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (შემდგომში - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) მოჭრილი მერქნული რესურსი, დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს მას მიღება-ჩაბარების აქტით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი